

სასწავლო პროცესში ჩასართავად სტუდენტმა სემესტრულად უნდა გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია.

აკადემიური რეგისტრაცია:

აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (UMS ბაზაში) შეთავაზებულ კურსებზე არჩევანის გაკეთებას და დარეგისტრირებას.

აკადემიური რეგისტრაციის უფლება სტუდენტს ეძლევა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდგომ;

უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით აკადემიური კალენდრის შესაბამისად დადგენილ ვადებში;

სტუდენტს უფლება აქვს აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით, მიმართოს შესაბამის სკოლას (კოორდინატორს), შეავსოს რეგისტრაციისთვის განკუთვნილი განაცხადი და სკოლის დასკვნასთან ერთად გადმოაგზავნოს UMS სისტემის მეშვეობით ან უნივერსიტეტის მეილებზე q.amirashvili@sangu.edu.ge; m.gelashvili@sangu.edu.ge; სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში შესაძლებელია სასწავლო კურსებზე განაცხადის გაუქმება და მის ნაცვლად სხვა სასწავლო კურსზე დარეგისტრირება.

ადმინისტრაციული რეგისტრაცია

ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს :

ა) სტუდენტის მიერ სწავლის სემესტრული საფასურის სრულად გადახდას რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში;

ბ) შეღავათიანი გრაფიკით სარგებლობის შეთანხმების გაფორმებას და შესაბამისი ვადების დაცვას;